პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 161 (9322)
19 აგვისტო, სამშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

სსრ კავშირის თასის გათამაშება კალათბურთში

ძარჯვე და ზუსტი ტყორცნებით...

კალათბურთში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას მყარი რეგლამენტი არა აქვს და შეჯიბრების ჩატარების სისტემაც ხშირად იცვლება. წლევანდელი გათამაშების დასკვნითი ეტაპების (ნახევარფინალი და ფინალი) ფორმულა ასეთია: ჯერ ტარდება ზონალური ტურნირები ოთხ ქვეჯგუფში (კლაიპედა, პალანგა, დონეცკი, თბილისი) ოთხ-ოთხი გუნდის მონაწილეობით, ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გასული ოთხი კოლექტივი კი 4-7 სექტემბერს დონეცკში გათამაშებს საპატიო ჯილდოს.

თბილისის „დინამოს“ ასპარეზობის მესამე ეტაპზე შინ ჰქონდა შეხვედრები, მაგრამ იმ სამი გუნდიდან, რომლებიც თბილისში უნდა ჩამოსულიყვნენ, ერთ-ერთი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი და საკავშირო თასის შარშანდელი მფლობელი, მოსკოვის არმიელთა გუნდი იყო. ამ გუნდის ძალა კი ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ცხადია, თბილისელთა გულშემატკივრები მაინცდამაინც ოპტიმისტურად ვერ იქნებოდნენ განწყობილი.

მაგრამ, როგორც კი შეჯიბრების სტარტზე, 16 აგვისტოს, სპორტის სასახლეში თავმოყრილმა მაყურებელმა ასპარეზობის ფავორიტი იხილა, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ თბილისის „დინამოს“ შეეძლო თასის მაძიებელთა ფინალური ჯგუფისაკენ გაეკაფა გზა. ასეთი უეცარი მეტამორფოზის მიზეზს ალბათ უკვე მიხვდით, თუმცა უმჯობესია თვით არმიელთა მწვრთნელს იური სელიხოვს მოვუსმინოთ: „თასის წლევანდელი გათამაშება ჩვენთვის მეტად არახელსაყრელ ვადებში ტარდება. გუნდის წმყვანი მოთამაშეები — ტკაჩენკო, პანკრაშკინი, მიგლინიექსი, ტიხონენკო და ტარაკანოვი, რომლებიც ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატში მო-

იხ. მე-3 გვ.



მსოფლიო ჩემპიონატი ნიჩბოსნობაში

ინგლისის ქალაქ ნოტინგემის საჩოჩბოსნო ბაზაზე 17 აგვისტოს დაიწყო 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ეს შეჯიბრება საერთაშორისო სპორტული წრეების დიდ ყურადღებას იპყრობს, ცნობილია, რომ აკადემიური ნიჩბოსნობა ვრცელი პროგრამითაა წარმოდგენილი ოლიმპიურ თამაშებზე (მედლების 14 კომპლექტი), ამიტომ ყველა დიდი შეჯიბრება, რომელიც კი აკადემიურ ნიჩბოსნობაში იმართება, მეტად საინტერესო მოვლენაა, მით უმეტეს — მსოფლიო ჩემპიონატი.

სსრ კავშირის ნიჩბოსნებს კარგი შედეგები აქვთ მსოფლიო ჩემპიონატებზე, შარშან, მაგალითად, ბელგიაში მათ ოქროს 4 და ვერცხლის 3 მედალი მოიპოვეს, საერთაშორისო მასშტაბით ბადალი არა ჰყავს საბჭოთა კავშირის ქალთა რვამოსასმელიან გუნდს.

ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონატს წინ უძღოდა მრავალი შეჯიბრება, სადაც საბჭოთა ნიჩბოსნებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მათგან უნდა აღვნიშნოთ მ. დანილიუკი, ა. დუმჩევა, ს. შელნიჩუკი, ტ. მოზოლი, გ. სტეპანოვა, ი. და ნ. პიმენოვები, ს. კუჩინსკასი, ი. ვისოცკი, ვ. რომანიშინი და სხვანი.

აკადემიური ნიჩბოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის შეჯიბრებებს ინგლისის ქალაქ ნოტინგემიდან უახლოეს პარასკევს და კვირას გადასცემს ცენტრალური ტელევიზია.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

საქართველოს სპორტული დელეგაციის ბოგაპარი

სპორტის ტექნიკური სახეობები. ავტოსამოდელო სპორტი.

„ოქრო“:

ოლეგ სტარინინი (რცა კლასი), ანდრო გალუსტიანი (რცბ კლასი)

ოლეგ სტარინინი

დაიბადა 1966 წელს ქალაქ რუსთავში.
სპორტის ოსტატი.
არმიის სპორტული კლუბის წევრი.
ავტოსამოდელო სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1982 წელს დოსაააფში.
მწვრთნელები: თენგიზ ლატარია და ვიტალი სტარინინი.
საუკეთესო შედეგები: საკავშირო თამაშებში — უძლიერესთა მატჩებში — გამარჯვებული 1985 და 1986 წლებში; საბჭოთა კავშირის 1985 და 1986 წლების ჩემპიონი; საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი.

ანდრო გალუსტიანი

დაიბადა 1970 წელს ქალაქ თბილისში.
სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
დოსაააფის წევრი.
ავტოსამოდელო სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1983 წელს.
მწვრთნელი — თენგიზ ლატარია.
თბილისის 63-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.
საუკეთესო შედეგები: 1985 წლის ჭაბუკთა საკავშირო თამაშების ჩემპიონი; სსრ კავშირის 1986 წლის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის; სსრ კავშირის 1986 წლის ჩემპიონი; საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი.

თბილისში დაიწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ავტოსამოდელო სპორტში. აქვე პარალელურად ტარდება სსრ კავშირის ჩემპიონატიც. ასპარეზობის პირველ დღეს ოქროს მედლები გათამაშდა რადიოსამართავი ავტომოდელების ორ კლასში, რომლებიც ელექტროძრავებით მუშაობენ. ესენია ასლი-მოდელები (რცა) და ნებისმიერი კონსტრუქციის მოდელები (რცბ). ფიგურულ სლალომში უშეცდომოდ იასპარეზეს, საუკეთესო დრო აჩვენეს, და საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონების წოდება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრებმა **ოლეგ სტარინინმა (რცა კლასი) და ანდრო გალუსტიანმა (რცბ კლასი).**

მიღწეული და დანაკარგი

ჩოგბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირის ბოლო დღეს ჩემპიონები და პრიზიორები ერთბაშად სამ თანრიგში გამოვლინდნენ — მედლები გაითამაშეს ქალებმა, ვაჟებმა (ერთეულთა თანრიგებში) და შერეულმა წყვილებმა. როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ქალთა შეჯიბრებების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, უკრაინელი ლარისა სავჩენკო და ქვეყნის მე-5 ჩოგანი, მოსკოველი ნატალია ბიკოვა. მატჩი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. პირველი სეტი ბიკოვამ პირწმინდად წააგო (1:6), მაგრამ მეორეში მდგომარეობა გამოასწორა და პარტიების ანგარიში გაათანაბრა (6:4). მესამე, გადამწყვეტ სეტში უპირატესობა კვლავ სავჩენკომ იგდო ხელთ და საბოლოოდ გაიმარჯვა — 6:1, 4:6, 6:4. მესამე ადგილი მიეკუთვნა ბელორუსიის წარმომადგენელ ნატალია ზვერევას, რომლის მეტოქე, თბილისელი ლეილა მესხი ჯერ კიდევ ნახევარფინალურ ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას (ალბათ გახსოვთ, რომ მესხი შერეულ წყვილთა ტურნირის მეოთხედფინალურ მატჩში დაშავდა და იძულებული იყო გამოთხოვებოდა სპარტაკიადის მედლებზე ოცნებას. არადა, ეს ოცნება სავსებით რეალური ჩანდა — ლეილა ხომ სამივე თანრიგში ნახევარფინალისტთა შორის იყო).

ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ირინე მალაციძე XII ადგილზე გავიდა და თავის გუნდს 13 ქულა შესძინა (მესხმა IV ადგილისთვის 22 ქულა მიიღო).

დაძაბული გამოდგა ვაჟთა ტურნირის ფინალიც, რომელშიც მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი და უკრაინელი ალექსანდრ დოლგოპოლოვი დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. სხვათა შორის, ძალთა შეფარდება ამ შეხვედრაშიც ისეთივე იყო, როგორც ქალთა შეჯიბრების ფინალურ მატჩში: ჩესნოკოვს მოქმედა საკავშირო კლასიფიკაციით

იხ. მე-4 გვ.

„სიჭაბუკის“ თასზე

არტემოვსკი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ). დასასრულს მიუახლოვდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ფინალური გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის „სიჭაბუკის“ თასზე.

შესამე და მეოთხე ტურებში წარმატებას მიაღწიეს ლიდერებმა— საქართველოსა და უკრაინის გუნდებმა. ჩვენმა ფეხბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით — 1:0 დაამარცხეს რსფსრ-სა და აზერბაიჯანის გუნდები, ხოლო უკრაინელებმა, ასევე ერთნაირი ანგარიშით — 3:1, მოუგეს თურქმენეთისა და სომხეთის გუნდებს.

III ტურში სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, IV ტურში თურქმენეთის ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს რსფსრ-ს გუნდი.

დღეს „სიჭაბუკის“ თასის გათამაშებაში მეხუთე, დასკვნითი ტურია: საქართველო — სომხეთი, უკრაინა — რსფსრ, აზერბაიჯანი — თურქმენეთი. შეგახსენებთ, რომ გათამაშების სტარტზე, პირველ დღეს, საქართველოსა და უკრაინის გუნდებმა ერთმანეთთან ფრედ ითამაშეს — 1:1. შემდეგ ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს თურქმენეთის (4:0), რსფსრ-ს (1:0) და აზერბაიჯანის (1:0) გუნდები, ხოლო უკრაინელებმა მოუგეს აზერბაიჯანის (2:1), თურქმენეთისა (3:1) და სომხეთის (3:1) გუნდებს.

დღევანდელ ტურში გაირკვევა საპატიო პრიზის მფლობელი. თუ პირველი ადგილის პრეტენდენტ ორ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა, უპირატესობა მიენიჭება: ყველაზე მეტი მოგების; ერთმანეთთან ნათამაშევი მატჩის შედეგის; გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობის; ან ყველა მატჩში გატანილი მეტი ბურთის უპირატესობით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲗᲥᲕᲐ:

„ᲕᲘᲖᲠᲣᲜᲝᲗ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲐᲣᲤᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲛᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲥᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲙᲚᲔᲑᲓᲔᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ“.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

რესპუბლიკის აგრომრეწვს, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ შეიქმნა საკავშირო მეთაური ორგანიზაციის კვალდაკვალ, მნიშვნელოვანი როლი აკისრია ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მის ხელში თავმოყრილია დიდი მატერიალური რესურსები, მაგრამ ყველაფერი მაინც _ ადამიანთა მონდომებამ და შრომამ უნდა გადაწყვიტოს. ამ უმსხვილეს ორგანიზაციაში ათასობით ადამიანია გაერთიანებული (მარტო ხელმძღვანელ აპარატში 3000-მდე მუშაკია). მათთვის შრომისა და დასვენების სათანადო პირობების შექმნა აგრომრეწვის ერთ-ერთი ამოცანაა, მაგრამ აგრომრეწვს, უდიდესი რეზერვის წყალობით შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთოდ მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში. როგორც ითქვა, ორგანიზაცია ახლახან ჩამოყალიბდა, მაგრამ იქ უკვე ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო იპოდრომის ტორიტორიაზე მუშაობს აგრომრეწვის საცხენოსნო-ტურისტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც ორგანიზაციის საყრდენი ბაზა იქნება. ამ ცენტრის მუშაობისა და პერსპექტივების შესახებ რამდენიმე კითხვით მივმართეთ დირექტორის მოადგილეს **თენგიზ გელდიაშვილს**, რომელიც უშუალოდ გამაჯანსაღებელ მუშაობას უდგას სათავეში.

● ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ობიექტი, რომელსაც სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი ჰქვია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სპორტული მოედნებითა თუ აღჭურვილობით. რა შეგიძლიათ შესთავაზოთ დღეს იპოდრომზე დასასვენებლად თუ ჯანმრთელობის გასაკაჟებლად მოსულ ადამიანს?

— ალბათ გეცოდინებათ, ჩვენი ცენტრი სულ ახლახან შეიქმნა. ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა ჯერ არც კი დამთავრებულა, ამიტომ, ვიდრე ცენტრის მუშაობაზე ვისაუბრებდეთ, კარგი იქნებოდა გვეხსენებინა, რა საშუალებები გვაქვს ამჟამად, ან რა უნდა შემოგვემატოს უახლოეს ხანში. იპოდრომზე მდებარე ობიექტებიდან საცხენოსნო ტურიზმისა და სპორტულ- გამაჯანსაღებელ ბაზას ეკუთვნის დახურული საცხენოსნო მანეჟი, საცურაო აუზი (რომელიც ამჟამად რემონტშია), ჩოგბურთის კორტები გასახდელებით, რომელთა მშენებლობა მალე დამთავრდება. ალბათ შეამჩნევდით, ტრიბუნასთან ახლოს სამუშაოები მიმდინარეობს — შენდება ახალი სპორტული კომპლექსი, რომელსაც ექნება 100 კვადრატული მეტრი ფართობის დარბაზი. იქ დავდგამთ ტრენაჟორებს. დარბაზს ექნება გასახდელები, ორი საუნა, იქვე მოეწყობა ჩოგბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და მინი-ფეხბურთის მოედნები, იმუშავებს სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტები. ერთი სიტყვით, დიდი გეგმები გვაქვს.

● როდისთვის უნდა დამთავრდეს ამ ობიექტების მშენებლობა?

— მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია. ობიექტს აგრომრეწვის № 1 სპეციალიზებული სამშენებლო-სარემონტო სამონტაჟო ტრესტი და აგრომრეწვის სამონტაჟო გაერთიანება აშენებდნენ. თავდაპირველად შემუშავებულ პროექტში რამდენიმე შესწორების შეტანა მოგვიხდა, რამაც ერთგვარად შეგვაფერხა კიდეც. ახლა კი ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდა. მშენებლები გვამშვიდებენ ყველაფერი საგულდაგულოდ, ხარისხიანად გავაკეთეთო, მაგრამ კარგად გვახსოვს, რომ აქვე მდებარე აგროსამრეწველო კომიტეტის კოტეჯების ტიპის საუწყებო სასტუმრო სწორედ № 1 სამშენებლო ტრესტის მუშაკებმა ააშენეს ამ სამი წლის წინ და ეს ნაგებობა ზამთარში საერთოდ არ თბება. მოკლედ, მშენებლობის შესრულების ხარისხზე მუდმივი დავა გვქონდა ჩვენს მოიჯარეებთან. ნანახოთ, როგორ გამართლდება მათი დაპირება.

● როგორც თქვენ ბრძანეთ, ბაზის ამოქმედებამდე ცოტა დრო დარჩა. ალბათ უკვე შემუშავებული გექნებათ ცენტრის მუშაობის დეტალური გეგმა.

— ასეთი გეგმა გვაქვს. მინდა აღვნიშნო, რომ იგი საკმაოდ მრავალფეროვანია. პირველ ყოვლისა, განზრახული გვაქვს რბენის მოყვარულთა კლუბი ჩამოვაყალიბოთ. იპოდრომი პირდაპირ ზედგამოჭრილი ადგილია ამისთვის. აქ ჰაერიც უფრო სუფთაა და ბილიკზეც ზამთარ-ზაფხულ ნებისმიერ ამინდში შეიძლება ვარჯიში. გვეყოლება სააბონემენტო ჯგუფები სპორტის სხვა სახეობებში, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ მომსვლელთ ყველაზე მეტად ე. წ. კომპლექსურ ჯგუფებში ვარჯიში დააინტერესებთ. ამ ჯგუფის წევრები წინასწარ შედგენილი გრაფიკით ერთ დღეს, ვთქვათ, სირბილში ივარჯიშებენ, მეორე დღეს ჩოგბურთს ითამაშებენ, შემდეგ ცხენზეც ამხედრდებიან, იცურავებენ და ა. შ.

● მაგრამ ალბათ იმის გათვალისწინებაც მოგიხდებათ, რომ ყველა მომსვლელი ვერ შეძლებს სირბილს ან ცხენით ნავარდს.

— რასაკვირველია, ესეც გათვალისწინებულია. ცენტრს ეყოლება სამედიცინო პერსონალი. სხვათა შორის, კანდიდატურები უკვე შერჩეული გვყავს. ყველა საქმის მცოდნე, კვალიფიციური სპეციალისტია. ასე რომ, აქ მომსვლელები თავიდანვე სათანადო რეკომენდაციებს მიიღებენ იმის შესახებ, თუ რომელ ჯგუფში ივარჯიშონ. ამ საქმეში დახმარებას გვპირდებიან ცნობილი სპეციალისტები, ნოდარ ბოხუა და დიმიტრი წვერავა, გადაწყვეტილი გვაქვს კავშირი დავამყაროთ მოძმე რესპუბლიკების ჯანმრთელობის ცენტრებთან. ცენტრისთვის გამოყოფილია მწვრთნელის ხუთი საშტატო ერთეული. გვინდა საზოგადოებრივ საწყისებზეც მოვიზიდოთ ამ საქმის სხვა სპეციალისტები.

● ჯერჯერობით ცენტრში მხოლოდ საცხენოსნო ტურისტული ჯგუფები მუშაობენ. იქნებ ორიოდე სიტყვა გეთქვათ მათ შესახებ.

— წინასწარ მინდა გითხრათ, რომ უკვე ბევრჯერ მივიღეთ მადლობა იმ ჯგუფების წევრებისაგან, რომლებიც ჩვენს ბაზას ტურისტული საგზურებით ეწვიენენ. თუმცა ჯერ პრობლემებიც საკმაოდ გვაქვს. ინსტრუქციით დამწყებ ცხენოსანს 10 მეცადინეობის შემდეგ ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში, ჩვენ ძირითადად ერთდღიან, ორდღიან და სამდღიან გადასვლებს ვთავაზობთ ხალხს (ისიც მხოლოდ ბეთანიის მიმართულებით). საქმე ისაა, რომ ბეთანიაში აშენდა აგრომრეწვის საცხენოსნო ბანაკი და, თუმცა იქ ზოგი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ მარშრუტზე ტურისტების დასვენებისა და ცხენების მოვლის პრობლემა გადაჭრილია. უფრო გრძელვადიან, რთულ მარშრუტებზე სწორედ ამ მიზეზით გადავუთა თავს. ოვალაში 53 ცხენი ეყოლა. უმდგომი ორგანოების გადწყვეტილებით მალე უნდა შეიქმნას რესპუბლიკური საცხენოსნო გაერთიანება, რომელსაც მთელ საქართველოში ექნება საკუთარი ბაზები, მარშრუტების სიმრავლე მკვეთრად გაიზრდება და ჩვენი ბაზის მუშაობაც უფრო ნაყოფიერი გახდება.

● კარგია, რომ თქვენი ბაზა საკავშირო ტურისტული მარშრუტების სიაში შეიტანეს. მაგრამ მინდა გკითხოთ: ხშირად მონაწილეობს თბილისის მოსახლეობა ცხენოსნურ ლაშქრობებში?

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით საცხენოსნო ტურიზმს ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად ეტანება. შესაძლოა ეს იმიტომაც ხდება, რომ ბევრმა არ იცის მათი არსებობა. აი, სწორედ აქ გვჭირდება პრესისა თუ რადიოტელევიზიის დახმარება. ცხენთა სეირნობა ბევრს იტაცებს და დარწმუნებული ვართ, ჩვენი სამსახურით კმაყოფილნი დარჩებიან. მოსახლეობა გრძელვადიან ლაშქრობაში მონაწილეობისაგან იმიტომაც იკავებს თავს, რომ სამუშაოს არ მოცდეს. ის მომსვლელები კი, რომლებსაც ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობა ხელს არ აძლევთ, აქვე იპოდრომის ტერიტორიაზე ვარჯიშობენ და ჯანმრთელობას იკაჟებენ.

საუბრის დასასრულს თ. გელდიაშვილმა ცენტრის შთაბეჭდილებათა ალბომი გვაჩვენა, რომელშიც ბევრი მადლობა ჩაუწერიათ კიევის, მინსკის, ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ტურისტებს. წინადადებები კი მხოლოდ ერთი ხასიათისაა: სტუმრებს სურთ, რომ მათი ბაზაზე ყოფნის პერიოდი კიდევ უფრო გაიზარდოს. საბოლოოდ, ადგილობრივი მოსახლეობის გამოხმაურებებს ვერსად მოვკარით თვალი. იმედია ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ აგროსამრეწველო კომიტეტის საცხენოსნო-ტურისტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა მცხოვრებმა ისარგებლოს მისი სიკეთით.

ესაუბრა ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: **გვინდა გამოვთქვათ იმედი, რომ ცენტრის მუშაკებს არც საცხენოსნო-ტურისტულ ლაშქრობების დროს უსაფრთხოების წესების დაცვა გამორჩებათ მხედველობიდან. მარშრუტების რიცხვის გაზრდასთან დაკავშირებით ალბათ დროულად უნდა გადაიჭრას საცხენოსნო ტურიზმის კვალიფიციური ინსტრუქტორების მოშზადების საკითხიც.**

„ᲛᲔᲠᲐᲜᲝ“ №16

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-16 ნომერი.

დამატება იხსნება უმაღლესი დონის ორი მატჩის — ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციებით. ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაიას მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი რიმა ბილუნოვა ახლახან დაბრუნდა სოფიიდან. იგი „მერანის“ მკითხველებს უამბობს თუ როგორ ემზადება ბულგარეთის დედაქალაქი ამ დიდი მატჩის პირველი ნახევრის მასპინძლობისათვის. როგორც იცით, მატჩი სოფიაში 1 სექტემბერს გაიხსნება.

დაინტერესებულ მკითხველს რედაქცია სთავაზობს კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანშის დღემდე გათამაშებული ყველა პარტიის ტექსტს.

მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, რომელიც ახლაბან დაბრუნდა ჰოლანდიიდან, გესაუბრებათ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მისი გამოსვლის შესახებ.

17 აგვისტოს მიხეილ ბოტვინიკს 75 წელი უსრულდება. რუბრიკით „ჩვენი კალენდარი“ „მერანი“ გვთავაზობს მსოფლიოს ექსჩემპიონის, თვით მ. ბოტვინიკის მიერ ჯერ კიდევ 1939 წელს დაწერილ წერილს. დიდოსტატის ნიჭის თაყვანისმცემლები რუბრიკით „შედევრები“ გაეცნობიან ბოტვინიკვიდმარის პარტიას ბოტვინიკისეული შენიშვნებით.

წერილში „ახალგაზრდა პრეტენდენტები“ გივი გამრეკელი მკითხველს სთავაზობს ჩანახატებს ჭადრაკის გვირგვინის ორ ახალგაზრდა მაძიებელზე — არტურ იუსუპოვსა და ანდრეი სოკოლოვზე. შეგახსენებთ, რომ მათი ფინალური მატჩი 1 სექტემბერს დაიწყება რიგაში.

საერთაშორისო ოსტატმა საჭადრაკო კომპოზიციაში ვალერი კალანდაძემ რედაქციას შესთავაზა თემა საჭადრაკო კომპოზიციის ისტორიიდან. წერილი „ქართული კომპოზიციის პიონერები“ დამატების მე-7 გვერდზეა დაბეჭდილი.

გარდა ამისა, „მერანში“ საინტერესო მასალებია დაბეჭდილი რუბრიკებით „უკანასკნელი პარტია“, „ეს საინტერესოა“, „ახალი ამბები“, „სიბრძნის წყარო“, „ძველი ამბების სკივრი“ და სხვა.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის მიმდინარე წლის 4 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ავთანდილ ციბაძის სტატია „გამოუყენებელი სიკეთე“, რომელშიც საუბარი იყო ქვეითი ტურიზმის პრობლემებზე. ავტორი სინანულით აღნიშნავდა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გამოცემული ბუკლეტები (კერძოდ „თბილისის შემოგარენი“) მიუტევებელი შეცდომებითაა სავსე — ხშირად სქემები არეულია, ან უკულმაა დაბეჭდილი. მარშრუტები სრული არაა, შეცვლილია სოფლების ადგილმდებარეობა, ზოგიერთი საერთოდ არაა აღნიშნული რუკაზე.

ამასთან დაკავშირებით რედაქციამ პასუხი მიიღო საბეჭდი ფაბრიკის ხელმძღვანელობისგან.

„ა. ციბაძის კრიტიკა სამართლიანია. ფაბრიკის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ნაკლოვანებები დროულად აღმოიფხვრას. ის ამხანაგები, რომელთა დაუდევრობის გამო ბუკლეტში შეცდომები გაიპარა, ადმინისტრაციული წესით დაისჯნენ.

ამიერიდან რუკების სისწორის დასადგენად რედაქტორები ადგილზე შეამოწმებენ მონაცემებს.

საბეჭდი ფაბრიკის ხელმძღვანელობა პირუთვნელი რეცენზიისათვის მადლობას უხდის სტატიის ავტორს“.

Ო. ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲫᲔ,
საბეჭდი ფაბრიკის დირექტორი.

SOS

ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲓᲒᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ვხედებით ახალ სასწავლო წელს? ეს კითხვა ყოველ აგვისტოს თვეში დგება დღის წესრიგში. მასზე პასუხის გაცემა ერთ რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციას ან უწყებას როდი მოეთხოვება. სკოლა საყოველთაო საზრუნავია, მაგრამ... ხშირად სხვადასხვა სოლიდური ორგანიზაცია ერთმანეთს შეჰყურებს, ერთიმეორის მოიმედეა, საბოლოოდ კი საქმე ზარალდება. აქ, სხვათა შორის, მხოლოდ ახალი შენობის აგება ან რემონტი როდი იგულისხმება, საერთო დამოკიდებულებაც გვაქვს მხედველობაში.

გლდანის სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის „სტაჟიანმა“ გულშემატკივრებმა კარგად იციან, რამდენი წელია, რაც თაობიდან თაობას, ინტერნატის ხელმძღვანელებიდან ხელმძღვანელობას ესტაფეტისათვის გადაეცემა ამ სკოლის პრობლემები, პირველ ყოვლისა — მატერიალურ-სპორტული ბაზის მოწესრიგების საკითხი.

დღესაც, როცა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე თითქმის ალარაფერი დარჩა, ინტერნატში საგანგაშო მდგომარეობაა. პირდაპირ წარმოუდგენელია, როგორ, რა პირობებში აპირებენ მოსწავლეთა მიღებას, სასწავლო და სპორტული მუშაობის წარმართვას. ამჯერად თავს ვიკავებთ იმის გამოქვეყნებისაგან, რაც რედაქციის წარმომადგენლებმა აქ ნახეს და ფოტოფირზე აღბეჭდეს. იმედია, განათლების სამინისტროს, სპორტსახკომის, შესაბამისი ქვეგანყოფილება, რაიონის ხელმძღვანელობა, ყველა, ვისაც ამ სკოლის ბედზე ზრუნვა ევალება, ადგილზე სასწრაფოდ გაარკვევენ შექმნილ მდგომარეობას და ყველაფერს იღონებენ, რომ პირველ სექტემბერს აქ მოსული მოზარდების სიხარულის მოლოდინი სინანულმა და გულისტკივილმა არ შეცვალოს.

უმაღლესი ლიგა

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში 9 და 16 აგვისტოს გაიმართა 2 მატჩი.

„სპარტაკი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 4:0 (2:0). სპარტაკელებს სრული უპირატესობა ეპყრათ, 2 ბურთი გაიტანა ერიომენკომ, თითო — როდიონოვმა და შალიმოვმა.

დუბლიორები — 2:0.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მინსკი) 3:2 (1:1). კიეველთაგან ბურთები გაიტანეს კარატაევმა, ბლოხინმა და ბელანოვმა (11-მეტრიანი), ხოლო მინსკელთა მხრივ — გოცმანოვმა და კონდრატიევმა.

ამ მატჩში ხულიგნური საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს მინსკელი ფეხბურთელები გოცმანოვი და როდენენკი, გააფრთხილეს მინსკელები გოცმანოვი, იანუშევსკი, ტრუხანი, კურნენინი, ავრეთვე, კიეველი ზავაროვი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. მილჩენკო (სოხუმი), ა. კოკაია, უ. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 1:1.

I ლიგა

ბუშინ ლანჩხუთში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი ადგილობრივ „გურიასა“ და კემეროვოს „კუზბასს“ შორის.

თამაში დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 4:2.

ბათუმის „დინამო“ დუშანბეში შეხვდა ადგილობრივ „პამირს“ და დამარცხდა — 0:5.

საქართველოს პირველობა

15, 16 და 17 აგვისტოს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXIII ტურის შეხვედრები პირველი ლიგის გუნდებს შორის.

აღმოსავლეთი ჯგუფი

„იმედი“ (თბილისი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 0:2, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „კახეთი“ (თელავი) 1:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0, „მაღნეული“ (ბოლნისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0.

დასავლეთი ჯგუფი

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) —„სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:1, „სქურა“ (წალენჯიხა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 5:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სულორი“ (ვანი) 2:1, „დინამო“ (გაგრა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:0, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:2.

ფეხბურთის ამბები

საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები განაგრძობს ტურნეს შვეიცარიაში. მეორე მატჩი მას ჰქონდა შვეიცარიის I ლიგის ყლუბ „სტეერსთან“, საბჭოთა ოლიმპიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0 (2:0), ორ-ორი ბურთი გაიტანეს მიხაილიჩენკომ და დობროვოლსკიმ, თითო — კეტაშვილმა და სუკრისტევმა.

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს პორტუგალიის „სპორტინგი“ და ფინალში გავიდნენ. სპარტაკელთა მეტოქე აქ იყო ბელგიის „ბრიუგე“, რომელმაც ესპანეთის „ბარსელონასთან“ ფრედ ითამაშა და გაიმარჯვა დამატებითი პენალტების მეშვეობით.

ფინალური მატჩი „სპარტაკსა“ და „ბრიუგეს“ შორის მიმდინარეობდა და უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 2:1. ორივე ბურთი გაიტანა ს. როდიონოვმა.

100 ათასი პეკინელი მაყურებელი დაესწრო საერთაშორისო ტურნირის ფინალურ მატჩს ჩინეთის ნაკრებსა და ვარშავის „ლეგიას“ შორის (ტურნირს „ჩინეთის კედლის თასი“ ეწოდება).

„ლეგიას“ ფეხბურთელებმა ვდოვიჩმა და სიკორსკიმ ორი ბურთი გაიტანეს, „ლეგიამ“ გაიმარჯვა — 2:0.

მარჯვე და ზუსტი ტყორცნებით...

სსრ კავშირის თასის გათამაშება კალათბურთში

დასასრული

ნაწილეობდნენ, ამჟამად ისვენებენ. ქვეყნის პირველ გუნდს თავისი გეგმა აქვს, მაგრამ ამ გარემოებამ ძალიან დაგვაზარალა. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, მაგრამ ვიცი, რომ ამ მიკროტურნირში თბილისელთა დამარცხება ძალიან გაგვიჭირდება“.

სელიხოვის სიტყვები ნაწილობრივ გამართლდა, ცსკა იმ დღეს კიევის არმიელებს ხვდებოდა და მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოგლიჯა მეტოქეს ხელიდან გამარჯვება — 99:97 (41:45).

მასპინძლებს სტარტზე შეჯიბრების აუტსაიდერთან, კიშინიოვის „მოლდოვასთან“ მოუხდა თამაში. ეს გუნდი გასულ სეზონში I ლიგაში იყო (საკავშირო თასის გათამაშების ამ ეტაპზე გამოსვლის უფლებაც მაშინ მოიპოვა), მაგრამ ტურნირი წარუმატებლად ჩაატარა და პირველ ლიგასაც გამოეთხოვა...

საერთოდ, ყველა გულშემატკივარი დიდი ინტერესით ელის სეზონში „თავისი“ გუნდის პირველ მატჩს. ამ დრო მისთვის ბევრი რამ უცნობი — გუნდის შემადგენლობა, მწვრთნელი და ა. შ. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა გასულ წელთან შედარებით ერთგვარად შეიცვალა. კოლექტივს კვლავ დაუბრუნდა გენადი კაპუსტინი, მოედანზე ვიხილეთ ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც პირველად გამოჩნდნენ გუნდში, კერძოდ წულუკიძელი მიხეილ კობეშავიძე (რომელიც ადრე „მართვეში“ თამაშობდა), გორელი ზვიად ინაური, თბილისელი გურამ ვაშაკიძე.

მასპინძლებს „მოლდოვას“ დამარცხება არ გასჭირვებიათ, თუმცა პირველ ტაიმში ბრძოლა თითქმის თანაბარი იყო. ერთხელ მოლდაველები დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ამას „დინამოს“ მწვრთნელები არ აუღელვებია, პირიქით, ისინი ზედიზედ ცდიდნენ ახალგაზრდა მოთამაშეებს, შემდეგ კი, როდესაც მოედანზე ჩვენი გუნდის სა-



სტარტო ხუთეული გამოვიდა, მოკლე ხანში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მატჩის ბოლოს „დინამო“ კვლავ ახალგაზრდული შემადგენლობით თამაშობდა და დამაჯერებლად გაიმარჯვა — 104:84 (59:47). აუტსაიდერის დამარცხება იქნებ სალაპარაკოდ არ ღირდეს, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს გია სანაძისა და ნიკოლოზ დერიუგინის კარგი თამაში. სანაძემ პირველ ტაიმში 21 ქულა მოაგროვა და, რაც მთავარია, ექვსჯერ შეასრულა ზუსტი სამქულიანი ტყორცნა. დერიუგინის მახვილგონივრულმა, ზუსტმა გადაცემებმა კი არაერთხელ გამოიწვია მაყურებელთა აღტაცებული ტაში.

შეჯიბრების მეორე დღეს „დინამო“ კიევის არმიელებს ხვდებოდა. უმაღლესი ლიგის ბინადართან მასპინძლებმა, ცხადია, უფრო აქტიურად დაიწყეს თამაში და მე-7 წუთისთვის 8 ქულით გავიდნენ წინ — 20:12, სწორედ ამ დროს დერიუგინმა ფეხი იტკინა და მოედანი დატოვა. მე-17 წუთისათვის ჩვენი გუნდი უკვე 20 ქულით უსწრებდა მეტოქეებს — 44:24. შეხანიშნავად თამაშობდა გენადი კაპუსტინი, რომელიც შორი მანძილიდან ზედიზედ ესროდა ბურთს მეტოქის კალათში. ტაიმი „დინამომ“ მოიგო 62:46.

სპორტ ტაიმს დასწყისში ალროდაჩოვმა მეოთხე პერსონალური ჯარიმა მიიღო და მწვრთნელები იძულებული გახდნენ, იგი მოედნიდან გაეყვანათ — დერიუგინი ვერც ამ ტაიმში გამოვიდა სათამაშოდ და ჩვენი გუნდის მეორე ტანმაღალ მოთამაშეს მატჩის გადამწყვეტი პერიოდისთვის ინახავდნენ. მე-9 წუთზე საჯარიმოთა ლიმიტი ამოწურა და მოედანი დატოვა გელა დარსაძემ. მდგომარეობა მეტად დაიძაბა — სტუმრები გააქტიურდნენ და ანგარიშში სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს: 77:72. დინამოელებს განსაკუთრებით ფართან ბრძოლა გაუჭირდათ. ამ პერიოდში სწორი, საჭირო და გამართლებული იყო გენადი კაპუსტინის მოქმედება, იგი სამქულიანი ზონიდან ცდილობდა მეტოქის ფარის დალაშქვრას. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრ მეთვალყურეობას უწევდნენ, ჩვენი მცველი ზედიზედ აღწევდა მიზანს. და მაინც, მატჩის ბოლო წუთებზე ანგარიში რამდენჯერმე გათანაბრდა (95:95, 97:97), თამაშში გარდატეხა შეიტანა ისევ დაუღალავმა კაპუსტინმა. ჯერ იყო და მისი ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ ტიუბინმა და ბოროდაჩოვმა ოთხი ქულით დააწინაურეს „დინამო“, შემდეგ კი თვით კაპუსტინმა კიდევ ერთხელ შეასრულა სამქულიანი ტყორცნა და „დინამო“ 7 ქულით გავიდა წინ. მატჩის ბედი აქ გადაწყდა. ამასთან კიეველებს კიდევ ორი შეცდომა მოუვიდათ და „დინამოს“ უპირატესობამ 11 ქულას მიაღწია — 108:97 (76:67). ჩვენი გუნდიდან ყველაზე შედეგიანი, რასაკვირველია, კაპუსტინი გახლდათ, რომელმაც 33 ქულა მოაგროვა და აქედან ცხრაჯერ (!) ზუსტად ტყორცნა სამქულიანი ზონიდან.

იმ დღეს ცსკა-მ მოუგო კიშინიოვის „მოლდოვას“—107:68 (52:31).

საუბარი „მექსიკა-86“-ის გმირთან

მექსიკურმა გაზეთმა „ელ სოლ დე ტერვიუ დიეგო მარადონასთან. ნაწყვეტს ამ საუბრიდან.

● რაზე ფიქრობდით, როცა ინგლისელებთან შეხვედრაში მეორე გოლი გაიტანეთ?

— ვფიქრობდი დედაჩემზე, ძმებზე, მამაჩემზე, რომელიც ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალყურს თამაშს. იმ მომენტში ვიგრძენი, რომ შემიძლია გავამართლო მათი ნდობა, ვინც ნაკრებში შემიყვანა.

● იფიქრეთ თუ არა, რომ თქვენ მსოფლიო ჩემპიონატის უძლიერესი ფეხბურთელი ხართ?

— ვიფიქრე, რომ არგენტინის გუნდს შეუძლია მსოფლიო ჩემპიონატზე შესანიშნავად ითამაშოს. მას ხომ ჩინებული ოსტატები ჰყავს: პუმპიდო, რუჯერი, მარადონა და სხვები. თითოეულ არგენტინელ ფეხბურთელს თავისი უნდა მივუზღათ.

● ხომ არ შეიძლებოდა არგენტინის ნაკრებს მოხვლოდა იგივე, რაც დაემართა ზოგიერთ გუნდს, რომელმაც 120-წუთიანი მატჩები ითამაშა? ზოგიერთმა მოთამაშემ, მაგალითად, პლატინიმ, ვერ გაუძლო ფიზიკურ დატვირთვას...

— ვფიქრობ, ჩვენ დამატებით დროსაც გავუძლებდით და გავიმარჯვებდით. რაც შეეხება პლატინის, უნდა ვთქვა, რომ ეს მეტად გამოცდილი ფეხბურთელი ამ შემოხვევაში ახალბედა მოთამაშესავით მოიქცა. უკეთ უნდა გაენაწილებინა ძალები, გაეთვალისწინებინა მექსიკის სიმაღლე.

● დიეგო, როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა მატჩის ბედი 11-მეტრიანი დარტყმების დამატებითმა სერიამ გადწყვიტოს?

— არა, ეს სერია არ უნდა არსებობდეს. გუნდები ორ ტაიმს ატარებენ, დიდ ძალას ხარჯავენ და... შეჯიბრებას ტოვებენ პენალტების სერიის შემდეგ. ეს აბსურდია.

● თქვენ რა გამოხავალს ხედავთ?

— დამატებითი მატჩი უნდა მოეწყოს.

● ყველაზე მეტად რომელი მატჩი მოგეწონათ?

— ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრა. ამ მატჩმა ჩემპიონატი დაამშვენა. ბრაზილიელები გამარჯვებას იმსახურებდნენ, მაგრამ 11-მეტრიანი დარტყმების სერიის შედეგად გათამაშებას გამოეთიშნენ.

● მოთამაშეებიდან ვის გამოყოფდით?

— ბრაზილიელ კარეკას, ინგლისელ ლინეკერს, ესპანელ ბუტრაგენიოს.

● როგორ უყურებთ ამ ჩემპიონატში ბრაზილიელთა მარცხს?

— როგორც აბსურდულს.

● რატომ?

— მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა ოთხი გოლი გაიტანა პოლონელთა კარში, მისი შემდგომი მარცხი აშკარად უსამართლო ჩანდა. ბრაზილიელები ღირსნი იყვნენ, რომ ფინალურ მატჩში ეთამაშათ.

● მსაჯობაზე რას იტყვით?

— მსაჯობა სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა. არბიტრებს ხშირად მოსდიოდათ შეცდომები. აქ შეიძლება არა მარტო ბრაზილია-ესპანეთის შეხვედრა დავასახელოთ, არამედ ისიც ვთქვათ, რომ ასეთი მსაჯობა ანტიფეხბურთს უწყობს ხელს.

● როგორ უნდა ვებრძოლოთ უხეშ თამაშს?

— მე ასე ვიქცეოდი: მირტყამდნენ, მაგრამ მაინც ვიბრძოდი.

● რა ცვლილებები მოახდინა ბილარდომ არგენტინის ნაკრებში?

— დავიწყოთ იმით, რომ არგენტინელ მწვრთნელთაგან ისე არავის აკრიტიკებდნენ, როგორც ბილარდოს. რატომ? თვლიდნენ, რომ იგი თავის კლუბ „ესტუდიანტესში“ ანტიფეხბურთს ნერგავდა. ეს აზრი სწორი არ იყო. მას აკრიტიკებდნენ მაშინაც, როცა გუნდში ჰყავდა ბატისტა, ბურუჩაგა, მარადონა, რომლებიც ლამაზ ფეხბურთს თამაშობდნენ. საბოლოოდ ბილარდომ დაამტკიცა, რომ მისი გუნდი მექსიკაში გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატის ნებისმიერი სხვა მონაწილე.

● ეს პირველობა „მარადონას ჩემპიონატი“ იყო?

— დიახ, ამ ჩემპიონატს ასე უწოდებენ, მაგრამ მას უფრო „არგენტინის ჩემპიონატი“ შეეფერება სახელად.

● ბედნიერი ხართ?

— ძალიან ბედნიერი ვარ.

● შეყვარებული ხართ?

— დიახ!

● ფეხბურთზე, თუ?..

— მიყვარს სიცოცხლე, დედაჩემი.

● კიდევ ვინმე სხვა ქალი?

— დიახ, არის ერთი ასეთი ქალი.

● ცოლის შერთვას ხომ არ აპირებთ?

— არა, ჯერ არა.

● დავუბრუნდეთ მსოფლიო ჩემპიონატს. ფინალურ მატჩში იყო მომენტი, როცა დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა ანგარიში გაათანაბრა...

— ჩვენ ყველას დავუმტკიცეთ, რომ უძლიერესი ნაკრები გვყავს. როცა გერმანელებმა ანგარიში გაათანაბრეს (2:2), ამან ერთგვარად შეგვაშფოთა, მაგრამ ძალა გამოვნახეთ, რომ კონტრიერიში წამოგვეწყო და კიდევ ერთი ბურთი გაგვეტანა. დღეს ყველამ იცის, რომ ჩვენი ნაკრები ერთი ფეხბურთელის გუნდი არ არის. ჩემს თამაშში, ჩემს ოსტატობაში თავისი წვლილი დოქტორმა ბილარდომაც შეიტანა, ზუსტად ისევე, როგორც 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დანიელ პასარელას მიღწევებში უდავო იყო მენოტის ღვაწლი. ფინალურ მატჩში ძალიან მინდოდა გოლის გატანა, მაგრამ ამის საშუალება არ მომცეს. სამაგიეროდ ბურთის გატანის საშუალება სხვებს შევუქმენი, გუნდისთვის თამაშიც სწორედ ეს გახლავთ.

მასალა მოამზადა
ბივი ბამრეკელმა.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

მილღვეული და დანაკარგი

დასასრული

პირველი ადგილი უკავია, ხოლო დოლგოპოლოვს — მეხუთე. უპირატესობა აქაც უფრო ძლიერის მხარეს იყო: ჩესნოკოვმა გაიმარჯვა — 6:2, 3:6, 6:4, 7:6.

ბრინჯაოს მედალი ესტონელ ანდრის ვისანდს გადაეცა. მისი და თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძის მატჩის პირველ პარტიაში ანგარიში იყო 1:1, როცა ჩვენმა ჩოგბურთელმა წელი იტკინა და ბრძოლა შეწყვიტა. IV ადგილისთვის გაბრიჩიძემ 22 ქულა დაიმსახურა. ჩვენს გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს, ოგრეთვე, ირაკლი მეტრეველმა (XV-XVI ადგილი, 9,5 ქულა), დავით კაპარავამ (XXI, 4), და ვიქტორ ხურდამ (XXIII, 2).

შვრეულ წყვილთა თანრიგში ფინალი მთლიანად „უკრაინული“ იყო: სავჩენკო და დოლგოპოლოვი ტამარა ჩერნიშოვასა და ალექსანდრე ჩერნეცკის შეხვდნენ. უფრო გამოცდილმა სავჩენკო — დოლგოპოლოვის წყვილმა საკმაოდ იოლად დაძლია მეტოქეთა წინააღმდეგობა — 6:2, 6:3. მესამე ადგილზე გავიდნენ ნატალია ბიკოვა და ანდრეი ოლხოვსკი, მეოთხეზე — ლეილა მესხი და ვლადიმერ გაბრიჩიძე, ხოლო მეხუთეზე — ირინე მალაციძე და ვიქტორ ხურდა. ჩვენმა წყვილებმა საქართველოს დელეგაციას შესაბამისად 30 და 25,5 ქულა შესძინეს.

ახლა კი გაგაცნობთ ჩვენი გუნდის წევრთა შედეგებს ქალთა და ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში: **ქალები** — მესხი, მალაციძე — IV ადგილი, 30 ქულა; ეკა ბოკუჩავა, ირინე გერაძე — XVI ადგილი 1,5 ქულა. **ვაჟები** — გაბრიჩიძე, კაპარავა — V ადგილი, 25,5 ქულა; ხურდა, დავით კავარცხელია — XVI ადგილი, 1,5 ქულა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ გუნდურ პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის ქალთა ნაკრებმა 40 ქულა მოაგროვა (IV ადგილი), ხოლო ვაჟთა გუნდმა 28 (VI ადგილი). სულ კი საქართველოს დელეგაციას 254,5 ქულა დაუგროვდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილის მოსაპოვებლად. დიახ, ჩვენი ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში მართალია დაგეგმილ მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა, მაგრამ გუნდმა ვერ მოიპოვა ნავარაუდევი ორი ბრინჯაოს მედალი, საერთო ჯამში ამ სახეობაში 96,5 ქულა დაეკარგეთ დაგეგმილთან შედარებით.

I ადგილზე გავიდნენ უკრაინელი ჩოგბურთელები, რომელთათვისაც ეს პირველი მსგავსი წარმატებაა სპარტაკიადების ისტორიაში. მოსკოველები მეორე ადგილს დასჯერდნენ. IV ადგილზე არიან ლატვიელები, მეხუთეზე — ესტონელები, მეექვსეზე — ბელორუსიელები. აღსანიშნავია, რომ 1967 წლიდან მოყოლებული მოსკოვის ნაკრებმა პირველად დათმო ჩემპიონის ტიტული.

საქართველოს ნაკრების მესამე ადგილი წინა სპარტაკიადაზე დაკავებულ VI ადგილთან შედარებით, უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ იგი სრულად არ გამოხატავს ჩვენს შესაძლებლობებს — მოსკოვში გამართულმა ასპარეზობამ, ცხადია ნაკლოვანი მხარეებიც გამოავლინა.

დავით კაკაბაძე.

მოსკოვი-თბილისი.

დიდი და პატარა რუმინელი

მოსკოვში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირის რეგბის ფედერაციის პრიზზე. გადამწყვეტ მატჩში ჩვენი ქვეყნის რეგბისტთა ნაკრებმა ანგარიშით 19:0 დაამარცხა რუმინეთის გუნდი და 12 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ეს ჩვენი რეგბისტების მეცხრე გამარჯვებაა ამ ტურნირში. მეორე ადგილზე გავიდნენ რუმინელელები (9 ქულა), მესამეზე — პოლონელები (8). საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებმა 7 ქულა მოაგროვა. 5 ქულით ბოლო ადგილზეა არგენტინის ქალაქ სან-ხუანის უნივერსიტეტის გუნდი.

ორკვირიანი შესვენების შემდეგ, შაბათ-კვირას, განახლდა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ ფინალის მონაწილე გუნდების შეჯიბრება: თბილისის „შევარდენმა“ უმასპინძლა კიევის „პოლიტექნიკს“ და ორივე მატჩი მოიგო: შაბათს — 15:6, კვირას — 9:0. თბილისელებს ქულები შესძინეს: პირველ შეხვედრაში: მიხეილ გარუჩავამ — 9 (2 საჯარიმო, 1 არეკანი), გიგა ბურატბეგიშვილმა — 6 (დამოწმება და რეალიზაცია); მეორე შეხვედრაში: ვანო საცერაძემ — 4(დამოწმება), გარუჩავამ — 3 (საჯარიმო) და კურატიშვილმა — 2, (რეალიზაცია). ახლა „შევარდენს“ 9 თამაშიდან 19 ქულა აქვს (5 მოგება, 4 წაგება) და ცხრილის ზედა ნახევარშია. გუნდს უმაღლეს ლიგაში გასვლის პერსპექტივა აქვს.

თბილისშივე უნდა გამართულიყო „ლოკომოტივის“ და ლვოვის „სოკოლის“ მატჩებიც. საკავშირო ფედერაციამ გაითვალისწინა ლვოველი რეგბისტების თხოვნა და ეს მატჩები სეზონის ბოლოსთვის გადაიტანა. „ლოკომოტივს“ 7 თამაშიდან 15 ქულა დარჩა (4 მოგება, 3 წაგება).

მორიგ ტურში, 23-24 აგვისტოს თბილისის გუნდები სტუმრად ასპარეზობენ. „ლოკომოტივი“ მოსკოვში შეხვდება საავიაციო ინსტიტუტის გუნდს, ხოლო „შევარდენი“— ლვოველებს.

* * *

ხვალ თბილისში მთავრდება მოზარდ რეგბისტთა საკავშირო ტურნირი „ოქროს ოვალი-86“ ჟურნალ „სპორტივნიე იგრის“ პრიზზე. თბილისში შეკრებილი 9 კოლექტივი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველ ჯგუფში იასპარეზეს მოსკოვის „ფილიმ“, კრასნოიარსკის, მოლდავეთის, ლენინგრადისა და ზელენოგრადის გუნდებმა, მეორეში — მოსკოვის „ლოკომოტივმა“ და „სპარტაკმა“, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოსა და უზბეკეთის რეგბისტებმა. კვირას გაიმართა მორიგი ტური. ლენინგრადელებმა დაამარცხეს კრასნოიარსკელები — 18:0, მოსკოვის „სპარტაკმა“ მოუგო უზბეკეთის გუნდს — 18:6, ფილიმ — ზელენოგრადელებს — 15:3.

თბილისელთა მეტოქე ამჯერად მოსკოვის „ლოკომოტივის“ ძლიერი გუნდი იყო. საინტერესო ორთაბრძოლა ქართველი რეგბისტების გამარჯვებით დასრულდა — 21:10. მათ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ახლა გადამწყვეტ მატჩში პირველი ჯგუფის საუკეთესო გუნდს შეხვდებიან.

აშშ, სსრ კავშირი და კანადა

საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა გუნდი წლეულს ორჯერ დამარცხდა აშშ-ს ნაკრებთან. პირველად ეს კეთილი ნების თამაშებზე მოხდა, მეორედ — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. სპეციალისტების აზრით ამერიკელების მთავარი იარაღი ამჯერადაც მაღალი ტემპი, სწრაფი კონტრშეტევები, მოძრავი დაცვა და ფარქვეშ უშეცდომო თამაში იყო. განსაკუთრებით ეფექტურად იბრძოდნენ ისინი მაღალი ბურთისთვის. სადაც, როგორც წესი, მუდამ გამარჯვებულნი გამოდიოდნენ.

კეთილი ნების თამაშების შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა არსებითი ცვლილებები განიცადა. გუნდში ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე მოვიდა, რომლებმაც ახალი მწვრთნელის ლეონიდ იაჩმენიოვის აზრით უნდა გარდაქმნან თამაში თანამედროვე კალათბურთის პრინციპების შესაბამისად. მაგრამ ასეთ გარდაქმნას, რომელიც თამაშის სტილის მთლიან შეცვლას გულისხმობს, ცხადია დრო სჭირდება. ყოველ შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმა ცხადყო, რომ ჩვენს გუნდს ჯერჯერობით არ შესწევს ძალა აშშ-ს ნაკრებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს.

ამერიკელები მთელი 40 წუთის მანძილზე წინ იყვნენ. 31-ე წუთზე საბჭოთა კალათბურთელებმა სხვაობა ანგარიშით 9 ქულამდე შეამცირეს (72:81). ეს იყო და ეს. მანამდეც და მას შემდეგაც აშშ-ს გუნდის უპირატესობა იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ შეხვედრის შედეგი ეჭვს არ იწვევდა.

ფინალური მატჩი ჩვენმა ნაკრებმა წააგო 20 ქულით — 88:108 (43:55) და მხოლოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდა. საბჭოთა კალათბურთელთაგან ამ დღეს მხოლოდ ოლგა იაკოვლევას თამაშის გამოყოფა შეიძლება. მან ექვსი სამქულიანი სროლა შეასრულა და თავის გუნდს ყველაზე ბევრი ქულა (29) შესძინა.

ერთი დღით ადრე გაიმართა მატჩი მესამე ადგილისათვის, რომელშიც კანადამ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები დაამარცხა — 64:59 (33:31). ამრიგად, ჩემპიონატში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. აშშ, 2. სსრ კავშირი, 3. კანადა, 4. ჩეხოსლოვაკია, 5. ჩინეთი, 6. კუბა, 7. ბულგარეთი, 8. უნგრეთი, 9. ავსტრალია, 10. სამხრეთ კორეა.

პირველი ჩემპიონები

მადრიდში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი წყალბურთში, სინქრონულ ცურვაში, წყალში ხტომასა და ცურვაში. ასპარეზობაში სხვებზე ადრე წყალბურთელები ჩაებნენ. უკვე დამთავრდა ჯგუფური ტურნირები. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველი ორი მატჩი მსოფლიო ჩემპიონის საკადრის სტილში ჩაატარა. ბრაზილიელებთან გამარჯვების შემდეგ (16:10), საბერძნეთის გუნდიც საკმაოდ ადვილად დაამარცხა (12:7) და ფაქტიურად მეორე ეტაპზე თამაშის უფლება გაინაღდა.

ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს აშშ-ს წყალბურთელებთან მხოლოდ პრესტიჟული მნიშვნელობა ჰქონდა. და მაინც ბრძოლა უაღრესად მწვავე და მძაფრი გამოდგა. პირველმა პერიოდმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 3:3. მეორე და განსაკუთრებით მესამე პერიოდში ამერიკელებმა რამდენიმე ეფექტური კომბინაცია განახორციელეს, რომლებმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი (მეორე პერიოდში მოიგეს 2:1, მესამეში — 3:1). ბოლო პერიოდი საბჭოთა გუნდმა თავის სასარგებლოდ დაამთავრა (3:2), მაგრამ საერთო წარმატებისთვის ეს არ გამოდგა საკმარისი. ამერიკელებმა გაიმარჯვეს — 10:8. საბჭოთა წყალბურთელთაგან ამ მატჩში ყველაზე აქტიური გ. მშვენიერაძე იყო. წყალბურთელები უმაღლესი ჯილდოებისთვის ბრძოლას განაგრძობენ.

შედარებით სუსტად გამოდიან ჩვენი სინქრონული ცურვის ოსტატები. საუკეთესო შედეგი მათ შორის მოსკოველ ა. ჟამალეტდინოვას ჰქონდა — IX ადგილი. გამარჯვება და ოქროს მედალი კი კანადელმა კ. ვალდომ მოიპოვა.

ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ქალთა შორის თავი ჩინელმა სპორტსმენებმა გამოიჩინეს. ოქროს მედალი გაო მინს ხვდა (582, 90 ქულა), ვერცხლის — ლი იხუას (549,42). მოსკოველი მარინა ბაკოვა ამჯერად მხოლოდ მესამე იყო (525,21).

გაიმართა მოცურავეთა პირველი ფინალური შეხვედრები. 100 მ თავისუფალი სტილით ქალთა შორის ოქროს მედალი კ. ოტომ (გდრ) მოიპოვა — 55,05, 100 მ ბრასის სტილით ცურვაში (ვაჟები) კი კანადელმა ვ. დევისმა — 1.02,71. ცურვის სხვა სახეობებში ჩემპიონები გახდნენ: 400 მ კომპლექსური ცურვა (ქალები) — კ. ნორდი (გდრ) — 4.43,75; 200 მ თავისუფალი სტილით (ვაჟები) — მ. გროსი (გფრ) — 1.47,92, ესტაფეტა 4X200 მ თავისუფალი სტილით (ქალები) — გდრ — 7.59,33.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 19 აგვისტო. დილის ტანგარჯიში — 9.00 (2); საჭადრაკო სკოლა — 11.50 (2); რიტმული ტანვარჯიში — 19.15 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 20.00 (1); მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სპორტის სახეობებში — 20.30 (2) და 23.55 (1).

საქართველოს ტელევიზია. 19 აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 20.00.

ჩოგბურთის ოლიმპიური პერსპექტივები

პრაღაში ამას წინათ გამართულ ჩოგბურთის ფედერაციის თასის გათამაშებას სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად ესწრებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სამარანჩი, რომელსაც მოეწონა ჩოგბურთის ახალი კომპლექსი და მას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო უწოდა.

პრეზიდენტი დიდხანს ესაუბრა ჩეხ და უცხოელ ჟურნალისტებს. კითხვაზე თუ როგორ აფასებს ჩოგბურთის ოლიმპიურ შესაძლებლობებს, სამარანჩმა მათ ასეთი პასუხი გასცა:

— ჩოგბურთს უფლება აქვს ოლიმპიური სახეობა გახდეს. მე პრაღაში სწორედ იმიტომ ჩამოვედი, რომ შევხვდე ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი და თაყვანისმცემელია.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612